ხელშეკრულება № 7

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

27 თებერვალი 2014

შპს \'ლაბორატორიის კვლევის ცენტრი" (შემდგომში - დამკვეთი) წარმოდგენილი მისი გრიგოლ რუხაძის სახით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "დგ კონსალტინგი" (შემდგომში - შემსრულებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გირგვლიანის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ CPV71600000-ის ლაბორატორიისთვის ისო 17025-ით აკრედიტაციისათის საჭირო დოკუმენტების პაკეტის მომზადება

1.2. შესასრულებელი სამუშაოების აღწერა დანართი 1-ის სახით, თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. აღნიშნულ დანართში მოცემულია წინადადება შესასრულებელი სამუშაოს შესახებ და სამუშაოების ვადები.

1.3. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას თავისი ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად კვალიფიციურად გაუწიოს დამკვეთს მომსახურება.

1.4. დამკვეთი იღებს ვალდებულებას შეუქმნას შემსრულებელს სამუშაო პირობები სამუშაოებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვების ეტაპზე.

2. ხანგრძლივობა

2.1. შემსრულებლის მიერ სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად და მთლიანი ვადა განისაზღვროს 10 კვირით. შესრულების ვადები შეიძლება შეიცვალოს სამუშაოების განხორციელების გარკვეულ ეტაპზე მიღწეული შედეგების შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სამუშაოს დასრულებულად ითვლება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მიწოდებისა და მხარეების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომ.

2.2. წინამდებარე კონტრაქტი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ თავისი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 3500 **ლარის (სამიათას ხუთას ლარის)** დღგ-ს გარეშე.

3.2. ანაზღაურება განხორციელდება ორ ეტაპად, ავანსი - საერთო ღირებულების 40 % და საბოლოო ანგარიშსწორება დარჩენილი 60% - მხარეთა მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომ, შემსრულებლის შესაბამისი ინვოისისა და დღგ–ის ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარდგენიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღეში.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ფორმით შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4. ხელშეკრულების ხელისშემშლელი გარემოებანი

4.1. არცერთ მხარეს არ აქვს თავისი მოვალეობების შეწყვეტის უფლება, გაუთვალისწინებელი ბუნებრივი და სოციალური მოვლენების შემთხვევების გარდა.

4.2. მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს აცნობონ ზემოაღნიშნული მოვლენების შემთხვევაში მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ. ასევე მხარეებს შეუძლია შეაჩერონ ან შეწყვიტონ მიმდინარე ხელშეკრულება ხუთი დღის ვადაში, ზემოთაღნიშნული მოვლენების შესახებ მეორე მხარის წერილობით გაფრთხილების საფუძველზე.

4.3. ხელშეკრულების ადრეული შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამკვეთს იმ ვალდებულებებიდან, რომ დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის დღისთვის შესრულებული სამუშაოს საფასურს, რაზედაც მხარეები შეადგენენ დამატებით მიღება-ჩაბარების აქტს. აწაზღაურებული მომსახურების შედეგებზე შეუზღუდავი საკუთრების უფლება ეკუთვნის დამკვეთს. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების შეწყვეტის დღისათვის შემსრულებელს გაწეული აქვს მომსახურება, რომლიც ღირებულებაც ნაკლებია ავანსის თანხაზე, შემსრულებელი ვალდებულია დაუბრუნოს დამკვეთს სხვაობა 5 (ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში.

5. სადაო საკითხები

5.1. მხარეებმა დროულად უნდა აცნობონ ერთმანეთს იმ პრობლემების აღმოჩენის შესახებ, რომლებიც ხელს შეუშლიან სამუშაოს დროულად შესრულებას.

5.2. ყველა უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების განმავლობაში ან მის შედეგად, შეიძლება განხილულ იქნას მხარეების წარმომადგენელი პასუხისმგებელი პირების მიერ და გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

5.3. იმ საკითხების გადასაწყვეტად რომელზეც მოლაპარაკებით შეთანხმება ვერ მოხერხდება, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

6. დასკვნა

6.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ საკუთარი ველდებულებების სრულად შესრულებამდე.

6.2. ნებისმიერი დამატება ამ ხელშეკრულებაზე არაეფექტური იქნება, სანამ იგი არ შედგება წერილობით და ხელმოწერილ იქნება ორივე მხარის მიერ.

მხარეთა ხელმოწერა:

"დამკვეთი"
შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"
ქ. ფოთი, მიქაბერიძის ქ. #2
ანგარიშის ნომერი: GE12LB113140194132000
საიდენტიფიკაციო კოდი: 21539348
სს ბანკი „ლიბერთი"
ბანკის კოდი: LBRTGB22

დირექტორი /ზ. რუხაძე/

შემსრულებელი:
შ.პ.ს. "დგ კონსალტინგი"
ქ.თბილისი შევარდენიძის ქ. 5, ბ. 45
ს/კ 205280998

საბანკო ანგარიში: სს "თიბისი ბანკი"
ა/ა GE16TB0669136020100005
კოდი TBCBGE22

დავით გორგლიანი
დირექტორი